

საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტი“

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების
ინსტრუქცია

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ინსტრუქცია ადგენს საქართველოს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კოლეჯი“) მიერ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებსა და პროცედურას, განსაზღვრავს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თაობაზე განცხადების განხილვის პროცედურას, განცხადების წარდგენის, განხილვის, ხარვეზის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადებს; არაფორმალური პროფესიული განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ კომპეტენციებად ჩათვლის წესს; გამოცდის ჩატარების თავისებურებებსა და არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურის განმახორციელებელ სუბიექტს.

1.2 ინსტრუქციის ნორმების შესრულება სავალდებულოა კოლეჯთან სამართალურთიერთობაში მყოფი ყველა პირისათვის, ამ ინსტრუქციით დადგენილი მოცულობის გათვალისწინებით.

1.3 ინსტრუქციის მიზნებისათვის, კოლეჯთან სამართალურთიერთობაში მყოფ პირად მიიჩნევა კოლეჯთან დადებული ნამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე კოლეჯს დაკავშირებული ფიზიკური თუ იურიდიული პირი, მათ შორის:

1.3.1 კოლეჯის პერსონალი;

1.3.2 კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებელთა და პრაქტიკის ინსტრუქტორთა პერსონალი;

1.3.4 კოლეჯის პროფესიული სტუდენტები;

1.3.5 კოლეჯის კონტრაქტორი ფიზიკური და იურიდიული პირები.

1.4 ინსტრუქციის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათი შინაარსი არ ეწინააღმდეგება კოლეჯის წესდებს, დებულებას და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

1.6 ამ ინსტრუქციას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს კოლეჯის დირექტორის მიერ მიღებულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე.

მუხლი 2. არაფორმალური პროფესიული განათლების განსაზღვრება

2.1 არაფორმალურ პროფესიულ განათლებად მიიჩნევა პროფესიული ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად, თვითმომზადების, პრაქტიკული მუშაობისა თუ დამოუკიდებელი, არაფორმალური პროფესიული მომზადების შედეგად.

მუხლი 3. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება და მისი მიზანი

3.1 კოლეჯი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული პირისათვის მის მიერ მიღებული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას,

კანონმდებლობითა და ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული პირობების გათვალისწინებით.

3.2 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება მიზნად ისახავს არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმებას.

მუხლი 4. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესაძლებლობა

4.1 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურების ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.

4.2 რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

4.4 არაფორმალური გზით მიღებული პროფესიული განათლების აღიარება დაუშვებელია პროფესიული განათლების IV და V საფეხურების ფარგლებში.

მუხლი 5. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პრინციპი

5.1 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება ემყარება თავისუფლების, ნებაყოფლობითობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპებს, და ემსახურება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას კოლეჯის ბაზაზე.

5.2 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება არ არის დამოკიდებული შესაბამისი პროფესიული ცოდნისა და უნარების დაუფლების საშუალებებზე (სკოლა, სასწავლო, სასემინარო თუ პრაქტიკული კურსი, სამუშაო გამოცდილება თუ დამოუკიდებელი სწავლა).

5.3 აღიარების წინაპირობაა პირის კომპეტენციების შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებებთან შესაბამისობის დადგენა, წარმოდგენილი საბუთების ანალიზისა და შესაბამისი გამოცდის საშუალებით.

მუხლი 6. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული

6.1 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებას ახდენს დროებითი კოლეგიური ორგანო - არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია

6.2 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია (შემდგომში კომისია) იქმნება და მისი შემადგენლობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით თითოეული კონკრეტული შემთხვევის დროს.

6.3 კომისია იქმნება დროებით, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურების სრულად დასრულებამდე.

6.4 კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ უნდა იქნეს:

ა) კოლეჯის შესაბამისი სასწავლო ერთეულის – სკოლის დეკანი;

ბ) შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებლები, როგორც კოლეჯიდან, ასევე სხვა ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელსაც არ აქვს კავშირი კოლეჯთან;

გ) შესაბამისი პროფესიული პროგრამის პრაქტიკის ინსტრუქტორები, როგორც კოლეჯიდან, ასევე სხვა ისეთი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელსაც არ აქვს კავშირი კოლეჯთან;

დ) დამსაქმებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

6.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს სამზე ნაკლები.

მუხლი 7. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურა

7.1 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურის საფუძველია დაინტერესებული პირის - არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის განცხადება, მისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების პროფესიულ პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან შესაბამისობის თაობაზე.

7.2 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის განცხადება შეიტანება კოლეჯის დირექტორის სახელზე. მაძიებელი არ არის შეზღუდული განცხადების შეტანის დროით.

7.3 განცხადების განხილვის პროცედურის ეტაპებია:

ა) განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შემოწმება წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნებთან;

ბ) კომისიის შექმნა

ბ) კომისიის მიერ დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად კომპეტენციების ჩათვლა;

გ) არაფორმალური პროფესიული განათლების ფარგლებში მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების, შესაბამის პროფესიულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, გამოცდის ორგანიზება და ჩატარება;

დ) შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

მუხლი 8. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების განაცხადის ფორმა

8.1 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებელმა კოლეჯს უნდა წარუდგინოს:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – წარმომადგენლის) განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს და უნდა შეიცავდეს ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) არსებობის შემთხვევაში, პრაქტიკის შედეგად მიღებული ან სხვა კომპეტენციების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პროფესიით პრაქტიკული მუშაობის ვადის, განხორციელებული საქმიანობის ან/და არსებული კომპეტენციების შესახებ (ცნობა, სერტიფიკატი და ა.შ.).

8.2 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თაობაზე არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) შედგენილი იყოს წერილობითი ფორმით;

ბ) შეიცავდეს განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

გ) მითითებული იყოს დაინტერესებული პირის საკონტაქტო ინფორმაცია;

დ) განცხადებას თანდართული ჰქონდეს დაინტერესებული მხარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განცხადება შეაქვს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველის კანონიერ წარმომადგენელს - აგრეთვე წარმომადგენლის მხარის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) მოთხოვნას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ;

ვ) ინფორმაციას არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესახებ;

ზ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში;

8.3 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებელს უფლება აქვს წარმოადგინოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მის მიერ არაფორმალური გზით მიღებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებებთან თავსებადობის შემოწმებას.

8.4 განცხადება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თაობაზე წარმოდგენილი უნდა იყოს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ. სხვა პირის მიერ განცხადების წარმოდგენის უფლებამოსილება უნდა დადასტურდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული მინდობილობით.

მუხლი 9. განცხადების განხილვის წესი

9.1 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თაობაზე განცხადების შემოტანიდან ორი დღის ვადაში კოლეჯის დირექტორი წინამდებარე ინსტრუქციის მოთხოვნების დაცვით ქმნის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისიას.

9.3 კომისია ვალდებულია შექმნიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამ მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობისა და მისი სისრულის შემოწმება.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს, განაცხადზე მითითებულ მისამართზე ეცნობება აღნიშნულის შესახებ და მისი განაცხადი განუხილველი დარჩება შესაბამისი ხარვეზის აღმოფხვრისა და აუცილებელი დოკუმენტაციის კოლეჯში წარდგენამდე.

9.4 კომისია უფლებამოსილია მერვე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებელს მოსთხოვოს სხვა დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესამოწმებლად და განუსაზღვროს გონივრული ვადა მათ წარმოსადგენად.

9.5 კომისიის მიერ წინამდებარე მუხლის მეოთხე პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაციის განმცხადებლის მიერ არასაკატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია განუხილველად დატოვოს განმცხადებლის განცხადება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თაობაზე მოთხოვნილი დოკუმენტაციის კოლეჯში წარდგენამდე.

მუხლი 10. არაფორმალური განათლების აღიარების მსურველის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის კომპეტენციებთან შესაბამისობის დადასტურება/არ დადასტურების პროცედურა

10.1 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველის განცხადებისა და თანდართულ დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას რომელშიც აღინიშნება ის ცოდნა, უნარები და ღირებულებები, რომელთა ფლობაც დადასტურდა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კომპეტენციები, რომლებიც უნდა შემოწმდეს გამოცდით. კომისიის გადაწყვეტილება არის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მსურველის გამოცდაზე დაშვების საფუძველი.

10.2 თუკი კომისიის მიერ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე კომისიამ ვერ დაადგინა მაძიებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის ფაქტი, კომისია იღებს გადაწყვეტილებას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლისათვის წინამდებარე დებულებით განსაზღვრული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შემდეგ ეტაპზე დაშვებაზე უარის თქმის შესახებ.

10.3 კომისიის გადაწყვეტილებას არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლისათვის წინამდებარე დებულებით განსაზღვრული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შემდეგ ეტაპზე დაშვებაზე უარის თქმის შესახებ, წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც უფლებამოსილია არ დაეთანხმოს კომისიის რეკომენდაციას და ხელახლა გადასცეს დოკუმენტაცია დასაუშავებლად კომისიას ან შექმნას სხვა კომისია.

მუხლი 11. გამოცდა არაფორმალური გზით შეძენილი კომპეტენციების დადასტურების მიზნით

11.1 გამოცდის ჩატარება მიზნად ისახავს პირის კომპეტენციების ფლობის დონის დადგენას დარგის სპეციალისტის მონაწილეობით გამართულ გამოცდაში.

11.2 გამოცდა შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილებისგან, რომელთა ფარგლებში ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესატყვის კომპონენტებთან პირის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების თავსებადობის დადგენა

11.3 საგამოცდო საკითხებს, შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციების ფლობის დადასტურების საჭიროებებიდან გამომდინარე, ადგენს არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია.

მუხლი 12. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეფასების წესი

12.1 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცესში დასაშვებია ცალკეული კომპონენტები შეფასდეს პროფესიული განათლების კრედიტებით გაანგარიშების წესით გათვალისწინებული შეფასების სისტემით.

12.2 თითოეულ კომპონენტში მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

12.3 შეფასების სისტემა ითვალისწინებს 5 სახის დადებითი და 2 სახის უარყოფითი შეფასებას.

12.4 დადებითი შეფასებებია:

- ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

12.5 უარყოფითი შეფასებებია

- ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%;
- ბ) (F) ჩაიჭრა მაქსიმალური შეფასების 0-40%

12.6 არაფორმალური პროფესიული განათლების კომპონენტი ეთვლება და აღიარებულია შესაბამის კომპონენტში ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღწევის შედეგად.

12.7 „FX“ შეფასების მიღების შემთხვევაში არაფორმალური განათლების აღიარების მსურველს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

12.8 „F“ შეფასების მიღების შემთხვევაში შესაბამისი კომპონენტი არაფორმალური განათლების აღიარების მსურველს არ უღიარდება.

მუხლი 13. გადაწყვეტილება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ

13.1 იმ შემთხვევაში თუ კომისიის გადაწყვეტილებით დასტურდება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების სრული შესაბამისობა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია აკეთებს წარდგინებას რეკომენდაციის სახით პირის მიერ მიღებული არაფორმალური პროფესიული განათლების სრულად აღიარების თაობაზე.

13.2 იმ შემთხვევაში თუ კომისიის გადაწყვეტილებით დასტურდება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისობა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციასთან, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია აკეთებს წარდგინებას რეკომენდაციის სახით პირის მიერ მიღებული არაფორმალური განათლების ნაწილობრივ აღიარების თაობაზე.

13.3 წარდგინება პირის მიერ მიღებული არაფორმალური პროფესიული განათლების ნაწილობრივ აღიარების თაობაზე უნდა მოიცავდეს იმ კომპეტენციების აღწერას, რომელთა ფლობა უდასტურდება და იმ კომპეტენციების თაობაზე, რომელთა ფლობა არ უდასტურდება მაძიებელს.

13.4 იმ შემთხვევაში, თუ კომისიის გადაწყვეტილებით არ დასტურდება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მაძიებლის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისობა შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციასთან, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების კომისია აკეთებს წარდგინებას პირის მიერ მიღებული არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის თაობაზე.

მუხლი 14. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გაფორმება

14.1 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის წარდგინების საფუძველზე გამოცემული კოლეჯის დირექტორის ბრძანების ფორმით:

14.2 გადაწყვეტილება, არაფორმალური განათლების აღიარების თაობაზე მოიცავს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) გადაწყვეტილების მიღების თარიღსა და ადგილს;

დ) არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის თაობაზე, პროფესიული განათლების რომელ საფეხურს ან მის ნაწილს შეესაბამება განმცხადებლის კომპეტენციები,

ე) არაფორმალური განათლების აღიარებაზე უარის თქმის შემთხვევაში – მითითებას შესაბამისი კომპეტენციების არარსებობის შესახებ, და შესაბამის დასაბუთებას;

ვ) ცალკეული კომპონენტების შეფასებებს;

ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესსა და ვადას.

14.3 გადაწყვეტილების ასლი გადაეცემა მაძიებელს აღიარებული პროფესიული განათლების დადასტურებისა, შრომის ბაზარზე და სწავლის გაგრძელების მიზნებისათვის გამოსაყენებლად.

მუხლი 15. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურის განხორციელების ვადები

15.1 არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პროცედურის განხორციელების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 თვეს

15.2 იმ შემთხვევაში, თუ განცხადების კოლეჯის შეტანის შემდეგ აღიარების განაცხადს დაუდგინდა ხარვეზი, მაშინ დრო ხარვეზის დადგენიდან, მის აღმოფხვრამდე არ ჩაითვლება არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურის საერთო ვადაში.

მუხლი 16. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნა

16.1 გადაწყვეტილებას ხელს აწერს კოლეჯის დირექტორი და წარუდგენს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში შესაბამისი ინფორმაციის ასახვის მიზნით.